ვითარებიდან გამომდინარე, კანდიდატ ქვეყანას შეიძლება მოეთხოვოს რეფორმების პროცესის

დაწყება, რათა მისი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან (ცნობილი, როგორც “Acquis”), გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა და ადმინისტრირება. გაწევრიანების პროცესში კანდიდატი ქვეყანა იღებს მნიშვნელოვან ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ევროკავშირის წევრობისთვის მოსამზადებლად.

კანდიდატის სტატუსიდან ევროკავშირის წევრობაზე გადასვლის წესები და ინსტრუქციები მოცემულია **Acquis**-ში, რომელიც უნდა შესრულდეს გაწევრიანების უფლების მინიჭებამდე.

ევროკავშირის კანდიდატობა ავტომატურად არ ანიჭებს სახელმწიფოებს უფლებას მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის საჯარო შესყიდვებში და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მოთხოვნას არ ამსუბუქებს. ამიტომ, კანდიდატებს მოეთხოვებათ საჯარო შესყიდვების სისტემის რეფორმა, რათა ის საჭირო სტანდარტებამდე მიიყვანონ და, ხშირად, უპირობოდ გახსნან საკუთარი საჯარო შესყიდვების ბაზარი ევროკავშირის კომპანიებისთვის: ხელმისაწვდომობის მინიჭება, პირველ რიგში, ორმხრივობის პრინციპს ემყარება.

2023 წლის დეკემბერში, ევროსაბჭომ საქართველოს მიანიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. შემდეგში ნაბიჯი არის გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყება.

## ბაზარზე წვდომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსით

ევროკავშირის წევრობა ავალდებულებს სახელმწიფოებს, ხელმისაწვდომი გახადონ თავიანთი საჯარო შესყიდვების ბაზარი და პირიქით, ანიჭებს წვდომის უფლებას ყველა კატეგორიის საჯარო შესყიდვებზე (საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა) ევროკავშირის ფარგლებში. წევრი ქვეყნები იცავენ ევროკავშირის ფუნდამენტურ თავისუფლებებსა და პრინციპებს და სრულად სარგებლობენ შიდა ბაზრით.

## საჯარო შესყიდვების ორგანიზება ევროკავშირში

### საბაზისო პრინციპები

ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და ღია სისტემაა და იმართება დისკრიმინაციის აკრძალვის, თანაბარი მოპყრობისა და გამჭვირვალობის ღირებულებებზე დაყრდნობით.

- დისკრიმინაციის აკრძალვა ნიშნავს გეოგრაფიულ/ეროვნულ საფუძველზე პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციის უარყოფას; სხვა შეზღუდვები უნდა იყოს დასაბუთებული და პროპორციული.

- თანაბარი მოპყრობა ნიშნავს პროცესის მიუკერძოებლობას: ყველა პრეტენდენტის მიმართ მოპყრობა უნდა მოხდეს ერთნაირად და მათ უნდა მიეცეთ თანაბარი შესაძლებლობები.

- გამჭვირვალობა ნიშნავს საკონკურსო შესაძლებლობების გამოქვეყნებისთვის საჭირო ხარისხის დაცვას.

### საკანონმდებლო ჩარჩო

ევროკავშირის წევრი და წევრობის მოსურნე ქვეყნების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები წევრობის მიღებასა და შენარჩუნებაზე რეგულირდება სამართლებრივი აქტებით, რომლებიც თავმოყრილია კანონთა კრებულში სახელწოდებით „Acquis“ და მოიცავს:

- ევროკავშირის ხელშეკრულებებს.
- ნებისმიერ კანონმდებლობას, რომელიც მიღებულია ამ ხელშეკრულებებისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ შემუშავებული პრეცედენტული სამართლის გამოსაყენებლად.
- ევროკავშირის მიერ მიღებულ დეკლარაციებსა და რეზოლუციებს.
- საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, მართლმსაჯულებისა და სამინაო საქმეთა სფეროებში მისაღებ ზომებს.
- საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებსაც ევროკავშირი აფორმებს და ევროკავშირის საქმიანობასთან დაკავშირებით თავად წევრ სახელმწიფოებს შორის დადებულ შეთანხმებებს.

ევროკავშირის კანონთა კრებული **Acquis-ი** მოიცავს 35 თავს, რომლებიც ასახავს წევრობის მოთხოვნებს-საქონლის, ადამიანებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებიდან დაწყებული, გადასახადების, განათლების, თავდაცვის, გარემოსდაცვითი, საჯარო დაწესებულებების მოწყობის, პოლიტიკისა და სხვა სფეროებით დასრულებული, სადაც სახელმწიფოებმა

უნდა შეასრულონ ევროკავშირის სტანდარტები. საჯარო შესყიდვების სისტემის პირობები აღწერილია **Acquis-ის** მე-5 თავში .

ზემოაღნიშნულ ნაწილში აღწერილი ძირითადი პრინციპების გარდა, **Acquis-ი** ითვალისწინებს საჯარო შესყიდვების შესახებ ევროკავშირის კონკრეტულ წესებს, რომლებიც გამოიყენება სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევისა და საქონლის მიწოდების საჯარო ხელშეკრულებების დადების კოორდინაციისთვის, ტრადიციული შემსყიდველი ორგანიზაციებისა და სპეციალური სექტორებისთვის. **Acquis** ასევე განსაზღვრავს წესებს დავების განხილვის პროცედურებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის შესახებ.

წევრობის კანდიდატი (განმცხადებელი) ქვეყნები ვალდებული არიან, ევროკავშირში გაწევრიანებამდე, **Acquis-ს** წესები მიუსადაგონ. გადახვევები (გამონაკლისები) **Acquis-ი**-დან დაშვებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და შეზღუდულია. კანდიდატი ქვეყნების მიერ ევროკავშირში გაწევრიანების თარიღისთვის **Acquis-ი** უნდა იყოს დანერგილი ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში და ქვეყნები ვალდებული არიან, გაწევრიანების თარიღიდან ამ წესებით იხელმძღვანელონ.

### ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების სახეობები და იერარქია

ევროკავშირის ნორმების იერარქიის სათავეში არის ე.წ. **პირველადი სამართალი**, რომელიც შედგება შემდეგი აქტებისგან:

- ევროკავშირის ძირითადი ხელშეკრულებები – ევროკავშირის ხელშეკრულება (TEU) და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება (TFEU) – და თანმდევნი ოქმები.
- ძირითად უფლებათა ქარტია (CRF).
- ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მიერ დადგენილი ზოგადი პრინციპები.

იერარქიაში შემდეგია **საერთაშორისო ხელშეკრულებები** ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან, ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს შეთანხმებები განცალკევებულია პირველადი და მეორადი სამართლის კანონებისგან და ქმნიან უნიკალურ კატეგორიას.

მათ მოსდევს **მეორადი სამართლის** კანონები, ისინი მოიცავენ ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებულ ყველა საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო აქტს, რომლებიც საშუალებას აძლევენ ევროკავშირის განხორციელოს თავისი უფლებამოსილება.

TFEU-ის 288-ე მუხლის თანახმად, ევროპულ ინსტიტუტებს შეუძლიათ მიიღონ რეგულაციები, დირექტივები და გადაწყვეტილებები, რომლებიც სავალდებულო სამართლებრივი აქტებია და, ასევე, რეკომენდაციები და მოსაზრებები, რომლებიც არასავალდებულო აქტებია.

**რეგულაციები** ზოგადი შინაარსის სამართლებრივი აქტებია და მათი განხორციელება ერთნაირად სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. დირექტივებისგან განსხვავებით, რეგულაციების ნაწილობრივი აღსრულება და ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიცია არ ხდება. გაწევრიანების შემდეგ, რეგულაციები, ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინების გარეშე, ავტომატურად ამოქმედდება.

**დირექტივები** მიიღება ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტების მიერ კონკრეტული ხელშეკრულებების შესაბამისად. ევროკავშირის დონეზე მიღების შემდეგ, წევრი ქვეყნები მათ ნერგავენ და ეროვნულ კანონმდებლობაში გადააქვთ. მიუხედავად იმისა, რომ დირექტივების განხორციელება სავალდებულოა, წევრებს აქვთ უფლება, ინდივიდუალურად აირჩიონ მათი განხორციელების გზები.

**გადაწყვეტილებები** მიიღება ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტების მიერ კონკრეტული ხელშეკრულებების შესაბამისად და მათი განხორციელება სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის (ქვეყანა, დაწესებულება), ვისაც ეს გადაწყვეტილება ეხება.

**რეკომენდაციები** გაცემა ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტების მიერ კონკრეტული წევრი ან წევრობის მოსურნე ქვეყნებისა, თუ კონკრეტული დაწესებულებების, ან დარგებისთვის და მათი განხორციელება სავალდებულო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციებს არ აქვთ სამართლებრივი ძალა, ისინი მიუთითებს სამართლებრივი აქტების, სტრატეგიებისა თუ პროგრამების განხორციელების გზებზე და მათი გამოყენება შეიძლება ევროკავშირის სამართლის ან მისი შინაარსის ინტერპრეტაციისთვის.

**მოსაზრებები** მზადდება ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტების მიერ კონკრეტული წევრი ან წევრობის მოსურნე ქვეყნებისა, თუ კონკრეტული დაწესებულებების, ან დარგების საყურადღებოდ და მათი განხორციელება სავალდებულო არ არის. მოსაზრება, შესაძლებელია, საფუძვლად დაედოს ევროკავშირის წევრი ან წევრობის მოსურნე

ქვეყნების სამართლებრივ აქტებს, სტრატეგიებსა და პროგრამებს.

## საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები

ევროპის მასშტაბით, ბიზნესისთვის თანაბარი კონკურენციის პირობების შესაქმნელად, ევროკავშირი ადგენს მინიმალურ, ჰარმონიზებულ საჯარო შესყიდვების წესებს. ეს წესები არეგულირებს იმას, თუ როგორ შეისყიდოს სახელმწიფო ორგანოები და ზოგიერთი კომუნალური ოპერატორები საქონელს, სამუშაოებს და მომსახურებას. ისინი გადატანილია ეროვნულ კანონმდებლობაში და ვრცელდება შესყიდვებზე, რომელთა ფულადი ღირებულება აღემატება გარკვეულ ოდენობას (მონეტარული ზღვრები). დაბალი ღირებულების შესყიდვებისთვის მოქმედებს ქვეყნების მიერ ინდივიდუალურად შემუშავებული წესები. თუმცა, ეს ადგილობრივი წესები ასევე უნდა იცავდეს ევროკავშირის სამართლის ზოგად პრინციპებს.

საჯარო შესყიდვები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოწესრიგებულია საჯარო შესყიდვების დირექტივებით. 2016 წლის 18 აპრილისთვის, ევროკავშირის ქვეყნებს ჰქონდათ ვალდებულება, შემდეგი დირექტივები ეროვნულ კანონმდებლობაში გადაეტანათ:

**დირექტივა 2014/23/EU<sup>7</sup>** კონცესიის ხელშეკრულებების მინიჭების შესახებ - ეს დირექტივა აყალიბებს ევროკავშირის წესებს საჯარო სექტორის შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის კომუნალური მომსახურების სექტორში კონცესიის მეშვეობით (საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ოპერირების უფლება, როგორცაა მაგისტრალი, ან სერვისი, მაგ., ავტობუსის მარშრუტი).

**დირექტივა 2014/24/EU<sup>8</sup>** საჯარო შესყიდვების წარმოების შესახებ - იგი ადგენს შესყიდვის პროცედურებს საჯარო შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის. მასში მითითებულია, რომ როდესაც ეროვნული ორგანოები იყენებენ საჯარო შესყიდვებს და აცხადებენ ტენდერებს სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევისა, თუ საქონლის მიწოდებისათვის, ყველა პრედენტენის მიმართ უნდა გამოიყენონ არადისკრიმინაციული, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპები.

**დირექტივა 2014/25/EU<sup>9</sup>** წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის და საფოსტო მომსახურების სექტორებში შესყიდვების წარმოების შესახებ (ე.წ. კომუნალური სექტორის დირექტივა) - იგი ადგენს წესებს წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის და საფოსტო მომსახურების სექტორებში მოქმედი საჯარო სუბიექტების მიერ შესყიდვის კონტრაქტების დადების შესახებ. მისი წესები ეფუძნება საჯარო შესყიდვების 2014/24/EU<sup>8</sup> დირექტივის ზოგად წესებს,

მაგრამ ითვალისწინებს ამ სექტორების სპეციფიკურ ხასიათს.

საჩივრებისა და დავების განხილვის პროცედურაზე ვრცელდება ორი დირექტივა: „უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ“ (Remedies) საჯარო სექტორის სამართლებრივი დაცვის დირექტივა 89/665/EC და კომუნალური სექტორის სამართლებრივი დაცვის დირექტივა 92/13/EEC. სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეს ორი დირექტივა არსებითად არის შეცვლილი 2007/66/EC დირექტივით. აღსანიშნავია, ასევე, ე.წ. „თავდაცვის“ დირექტივა 2009/81/EC რომელიც იყენებს უფრო მოქნილ და კონფიდენციალურ რეჟიმს სამხედრო მარაგებისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და სერვისების შესყიდვისას.

2022 წლის ივნისში, ევროპარლამენტმა გამოსცა რეგულაცია (EU) 2022/1031, რომლითაც გააქტიურდა შესყიდვების საერთაშორისო ინსტრუმენტი (IPI), რომელიც ზღუდავს წვდომას ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზარზე მიმწოდებლებისთვის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ უზრუნველყოფენ საპასუხო წვდომას საკუთარი საჯარო შესყიდვების ბაზრებზე, ანუ არ იცავენ ნაცვალგების პრინციპს. IPI ანიჭებს ევროკომისიას საგამოძიებო და დაჯარიმების უფლებამოსილებას, გამოავლინოს უსამართლო მოპყრობა ევროკავშირის კომპანიების მიმართ და დააწესოს შესაბამისი შეზღუდვები.

## საჯარო შესყიდვებში გამოყენებული ნომენკლატურა

### შესყიდვების ერთიანი ლექსიკონი (CPV)

CPV-ი აყალიბებს საჯარო შესყიდვების ერთიან კლასიფიკაციის სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს, მოახდინოს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაცია შესყიდვის საგნის აღწერისას. ევროკავშირში (და გაერთიანებულ სამეფოში) საჯარო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ შესყიდვებში იყენებენ CPV კოდებს საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების ამოსაცნობად.

CPV-ის გამოყენება ევროკავშირში 2006 წლის 1 თებერვლიდან არის სავალდებულო და რეგულირდება 2007 წლის 28 ნოემბრის კომისიის (EC) No213/2008 რეგულაციით. საქართველოს საჯარო შესყიდვების სააგენტო CPV-ის კოდების განახლებულ მონაცემთა ბაზას აქვეყნებს ქართულ და ინგლისურ ენებზე მისი ოფიციალური ვებგვერდის - [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge) - საერთაშორისო კლასიფიკატორების გვერდზე.

CPV-ი შედგება ხელშეკრულების საგნის განსაზღვრისთვის აუცილებელი ძირითადი ლექსიკონისგან, და დამატებითი ინფორმაციის შემავსებელი ლექსიკონისგან. ძირითადი ლექსიკონი განტოტვილია და შეადგენს 9 ციფრისგან შემდგარ კოდს (რვანიშნა კოდი და საკონტროლო ციფრი). იგი დაკავშირებულია დასახელებასთან, რომელიც სიტყვიერად აღწერს ხელშეკრულების საგანს: საქონელის, სამუშაოების ან მომსახურების ტიპს.

CPV-ის სისტემა ორგანიზებულია შემდეგნაირად : 45 დანაყოფი (division)

- 272 ჯგუფი (group)
- 1002 კლასი (class)
- 2379 კატეგორია (category)
- 5756 ქვეკატეგორია (sub-category)

კოდების აღწერა მსგავსია NACE სისტემის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციისა, მაგრამ ეს ორი სისტემა არ არის იდენტური.

- CPV-კოდები 0-დან 44-მდე და 48-ის ჩათვლით აღნიშნავს საქონელს (goods, supplies)
- CPV-კოდები, რომლებიც იწყება 45-ით, აღნიშნავს სამშენებლო სამუშაოებს (public works, works)
- CPV-კოდები 50-დან 98-მდე აღნიშნავს სერვისების მიწოდებას (services).

შენიშვნა: არ არსებობს კოდები, რომლებიც იწყება 46, 47 ან 49-ით.

### CPV-ის კოდების გამიფვრა

CPV-ის ლექსიკონის კოდირების სტრუქტურა იყენებს ცხრაციფრიან კოდს. ბოლო ციფრი არის საკონტროლო, წინა ციფრების გადასამოწმებლად.

- პირველი ორი ციფრის კომბინაცია: აღნიშნავს დანაყოფებს (XX000000-Y)
- მომდევნო ექვსი ციფრი: თითოეული მათგანი წარმოადგენს კლასიფიკაციის ერთ დონეს, ამიტომ ერთი დონე არ შეიძლება იყოს 9-ზე მეტი ჯგუფის აღმნიშვნელი კლასიფიკაციის მოცემულ დონეზე.
- პირველი სამი ციფრი: ერთად განსაზღვრავს ჯგუფებს (XXX00000-Y) და თითო დანაყოფში

- შეიძლება იყოს სულ 10 ჯგუფი.
- პირველი ოთხი ციფრი ერთად განსაზღვრავს კლასებს (XXXX0000-Y) და ჯგუფში შეიძლება იყოს სულ 10 კლასი.
- პირველი ხუთი ციფრი განსაზღვრავს კატეგორიებს (XXXXX000-Y) და თითო კლასში შეიძლება იყოს სულ 10 კატეგორია.
- ბოლო სამი ციფრი აღნიშნავს ქვეკატეგორიას.

ნულები მოთავსებულია კოდების ბოლოს, გარდა პირველი ორი ციფრისა და მიუთითებს კოდის სიზუსტის დონეს (რაც მეტი ნული აქვს, მით უფრო ზოგადია). შესაბამისად, სადაც კლასიფიკაციის მოცემული დონე შემდგომში აღარ არის დაყოფილი, "0" გამოიყენება შემავსებლად.

### მაგალითები<sup>1</sup>:

#### სტომატოლოგიური რენტგენის მოწყობილობა (Dental X-ray device) კლასიფიცირდება მზარდი სიზუსტით, შემდეგნაირად:

- დანაყოფი 33 (33000000-0): სამედიცინო აღჭურვილობა, ფარმაცევტული და პირადი მოვლის საშუალებები
- ჯგუფი 33-1 (33100000-1): სამედიცინო აღჭურვილობა
- კლასი 33-1-1 (33110000-4): მედიცინაში, სტომატოლოგიასა და ვეტერინარიაში გამოსაყენებელი გამოსახულების მიმღები აპარატურა
- კატეგორია 33-1-1-1 (33111000-1): რენტგენის აპარატურა
- ქვეკატეგორია 33-1-1-1-2 (33111200-3): რენტგენის მუშასადგური

#### ქსელთაშორისი კავშირის უზრუნველყოფის პროგრამული პაკეტი (Gateway software package) კლასიფიცირდება მზარდი სიზუსტით შემდეგნაირად:

- დანაყოფი 48 (48000000-8): პროგრამული უზრუნველყოფის სამრეწველო პაკეტები
- ჯგუფი 48-2 (48200000-0): ქსელების, ინტერნეტისა და ინტრანეტის პროგრამული პაკეტები
- კლასი 48-2-1 (48210000-3): ქსელის პროგრამული პაკეტები
- კატეგორია 48-2-1-9 (48219000-6): სხვადასხვა სახის ქსელური პროგრამული პაკეტები
- ქვეკატეგორია 48-2-1-9-1 (48219100-7): ქსელთაშორისი კავშირის უზრუნველყოფის პროგრამული პაკეტები

#### ავიაშვიდები (Aircraft carriers) კლასიფიცირდება მზარდი სიზუსტით შემდეგნაირად:

- დანაყოფი 35 (35000000-4): საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები
- ჯგუფი 35-5 (35500000-9): საბრძოლო გემები და თანმდევნი ნაწილები
- კლასი 35-5-1 (35510000-2): საბრძოლო გემები
- კატეგორია 35-5-1-1 (35511000-9): წყალზედა საბრძოლო ხომალდი
- ქვეკატეგორია 35-5-1-1-1 (35511100-0): ავიაშვიდები

ქვემოთ მოცემულია CPV სეგმენტაციის უმაღლესი დონე 45 დარგობრივ კლასტერში<sup>15</sup>.

<sup>1</sup>მაგალითები მოცემულია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის, რადგან კოდების აღმნიშვნელი შინაარსი, შესაძლებელია, მცირედით განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით. ეს კონკრეტული ვერსია მისადაგებულია ქართულ ნომენკლატურასთან, თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ქართული სისტემა, სიმარტივის მიზნით, არ იყენებს ბოლო საკონტროლო ციფრს.

### CPV-ის კატეგორიები საქონლის კლასიფიკაციისთვის

1. CPV დანაყოფი 03: სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობის პროდუქტები, თევზჭერის პროდუქტები, მეტყევეობისა და მასთან დაკავშირებული პროდუქტები.
2. CPV დანაყოფი 09: მინერალური ზეთები, საწვავი, ელექტროენერჯია და ენერჯის სხვა წყაროები.
3. CPV დანაყოფი 14: სამთო მრეწველობა, ძირითადი ლითონები და მონათესავე პროდუქტები.
4. CPV დანაყოფი 15: საკვები, სასმელები, თამბაქო და მონათესავე პროდუქტები.
5. CPV დანაყოფი 16: სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები.
6. CPV დანაყოფი 18: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საბარგო ჩანთები და აქსესუარები.
7. CPV დანაყოფი 19: ტყავისა და საფეიქრო ნაწარმი, პლასტამასის და რეზინის მასალები.
8. CPV დანაყოფი 22: ნაბეჭდი მასალა და მონათესავე პროდუქტები.
9. CPV დანაყოფი 24: ქიმიური პროდუქტები.
10. CPV დანაყოფი 30: საოფისე და კომპიუტერული მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, ავეჯისა და პროგრამული პაკეტების გარდა.
11. CPV დანაყოფი 31: ელექტრომოწყობილობა, აპარატურა, აღჭურვილობა და სახარჯი მასალები; განათება.
12. CPV დანაყოფი 32: რადიო, ტელევიზია, კავშირგაბმულობა, ტელეკომუნიკაციები და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობა.
13. CPV დანაყოფი 33: სამედიცინო მოწყობილობები, ფარმაცევტული პროდუქტი და პირადი ჰიგიენის საშუალებები.
14. CPV დანაყოფი 34: სატრანსპორტო საშუალებები და ტრანსპორტირების დამხმარე პროდუქტები.
15. CPV დანაყოფი 35: უსაფრთხოების, სახანძრო, საპოლიციო და თავდაცვის მოწყობილობები.
16. CPV დანაყოფი 37: მუსიკალური ინსტრუმენტები, სპორტული საქონელი, თამაშები, სათამაშოები, ხელნაკეთობები, ხელოვნების მასალები და აქსესუარები.
17. CPV დანაყოფი 38: ლაბორატორიული, ოპტიკური და ზუსტი საზომი აპარატურა (სათვალეების გარდა).
18. CPV დანაყოფი 39: ავეჯი (მათ შორის, საოფისე ავეჯი), რბილი ავეჯი, საოჯახო ტექნიკა (განათების გარდა) და საწმენდი საშუალებები.
19. CPV დანაყოფი 41: შეგროვებული და გაწმენდილი წყალი.
20. CPV დანაყოფი 42: სამრეწველო მანქანა-დანადგარები.
21. CPV დანაყოფი 43: სამთო მოწყობილობები, კარიერული დამუშავებისა და სამშენებლო მოწყობილობები.
22. CPV დანაყოფი 44: სამშენებლო კონსტრუქციები

და მასალები; დამატებითი სამშენებლო პროდუქტები (გარდა ელექტრო აპარატურისა).

23. CPV დანაყოფი 48: პროგრამული პაკეტი და საინფორმაციო სისტემები.

### CPV კატეგორია სამუშაოების კლასიფიკაციისთვის

24. CPV დანაყოფი 45: შენობების მშენებლობა.

### CPV კატეგორიები მომსახურების კლასიფიკაციისთვის

25. CPV დანაყოფი 50: სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სამუშაოები.
26. CPV დანაყოფი 51: მონტაჟი (პროგრამული უზრუნველყოფის გარდა).
27. CPV დანაყოფი 55: სასტუმრო, რესტორნების და საცალო ვაჭრობის მომსახურება.
28. CPV დანაყოფი 60: ტრანსპორტის მომსახურება (ნარჩენების ტრანსპორტირების გარდა).
29. CPV დანაყოფი 63: დამხმარე და დამატებითი ტრანსპორტის მომსახურებები; ტურისტული სააგენტოების მომსახურება.
30. CPV დანაყოფი 64: საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მომსახურება.
31. CPV დანაყოფი 65: კომუნალური მომსახურება.
32. CPV დანაყოფი 66: ფინანსური და სადაზღვევო მომსახურება.
33. CPV დანაყოფი 70: უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურება.
34. CPV დანაყოფი 71: არქიტექტურული, სამშენებლო, საინჟინრო და ინსპექტირების მომსახურებები.
35. CPV დანაყოფი 72: IT მომსახურება: კონსულტაცია, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, ინტერნეტი და ტექნიკური მხარდაჭერა.
36. CPV დანაყოფი 73: კვლევისა და განვითარებასთან დაკავშირებული მომსახურება და მასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები.
37. CPV დანაყოფი 75: ადმინისტრაციის, თავდაცვისა და სოციალურ დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება.
38. CPV დანაყოფი 76: ნავთობისა და გაზის მრეწველობასთან დაკავშირებული მომსახურება.
39. CPV დანაყოფი 77: სოფლის მეურნეობასთან, სატყეო მეურნეობასთან, მეზღვეობასთან, აკვაკულტურასა და მეფუტკრეობასთან დაკავშირებული მომსახურება.
40. CPV დანაყოფი 79: ბიზნესმომსახურება - სამართლებრივი, მარკეტინგული, საკონსულტაციო, პერსონალის დაქირავებასთან, ბეჭდვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურება.
41. CPV დანაყოფი 80: საგანმანათლებლო და საწვრთნელი მომსახურება.
42. CPV დანაყოფი 85: ჯანდაცვის სფეროსა და სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული



- მომსახურება.
43. CPV დანაყოფი 90: ჩამდინარე წყლებთან, ნარჩენებთან, გაწმენდასთან დაკავშირებული და ეკოლოგიის სფეროში მომსახურება.
  44. CPV დანაყოფი 92: რეკრეაციული, კულტურული და სპორტული მომსახურება.
  45. CPV დანაყოფი 98: სხვა საზოგადოებრივი, სოციალური და პირადი ხასიათის მომსახურება.

არსებობს ონლაინ მონაცემთა სხვადასხვა ბაზა, საკვანძო სიტყვების მეშვეობით ძიების ფუნქციით. ბაზების გამოყენება ამარტივებს საქონლის, სამუშაოების, ან მომსახურების კოდების დადგენას. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ასეთი მონაცემთა ბაზაა: [www.cpvcodes.eu](http://www.cpvcodes.eu).

## მონეტარული ზღვრები

### ევროკავშირის საჯარო შესყიდვების საერთო მონეტარული ზღვრები

მონეტარული ზღვრები ადგენს საქონლის, სამუშაოების, ან მომსახურების მინიმალურ ღირებულებებს, რომლებზეც ევროკავშირის საჯარო ორგანიზაციები ვალდებული არიან გამოაცხადონ შესყიდვა საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა და ევროკავშირის წესების შესაბამისად. დადგენილ ზღვარზე დაბალი ღირებულების მქონე შესყიდვებისთვის წევრი ქვეყნების მიერ გამოიყენება მხოლოდ საჯარო შესყიდვების ეროვნული წესები. ასეთ შემთხვევებში, დაცული უნდა იყოს ევროკავშირის ზოგადი პრინციპები გამჭვირვალობისა და თანაბარი მოპყრობის შესახებ.

მონეტარული ზღვრები განსხვავდება შესყიდვის საგნის, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციის ტიპის მიხედვით; ისინი რეგულარულად გადაინიშნება, თუმცა, ძირითადად ქვემოთ მოცემულ ღირებულებებს შესაბამისაა:

2024-2025 წლების სახელმძღვანელო მონეტარული ზღვრები .

- **5 538 000 ევრო** სამშენებლო კონტრაქტებისთვის.
- **143 000 ევრო** ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ შეძენილი სერვისებისა და საქონლის უმეტესობისთვის.
- **443 000 ევრო** წყლის, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებში ყველა სხვა მომსახურებისთვის.

მონეტარული ზღვრები განსაზღვრულია CPV-ის კოდების მიხედვით; როდესაც საქონლის მიწოდება კომბინაციაშია სამუშაოების წარმოებასთან, ან მომსახურების გაწევასთან, გამოიყენება უფრო მეტი ღირებულების მქონე კატეგორია. წევრ ქვეყნებს ასევე აქვთ თავიანთი ეროვნული წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ისეთ კომპლექსურ კატეგორიებს, როგორცაა მაგალითად, მშენებლობა.

მონეტარული ზღვრების შესახებ განახლებული

ინფორმაცია რეგულარულად ქვეყნდება ევროკომისიის ვებგვერდზე. მათი მოძიება შესაძლებელია ევროკომისიის ოფიციალურ გვერდზე [www.commission.europa.eu](http://www.commission.europa.eu).<sup>16</sup>

ევროკავშირი ასევე ადგენს მონეტარული ზღვრების შესაბამის ღირებულებებს საჯარო შესყიდვებისთვის, რომლებიც არ ფასდება ევროში. მონეტარული ზღვრების ევროს ექვივალენტები, წევრი ქვეყნების ეროვნულ ვალუტაში, გამოქვეყნებულია ევროკომისიის Acquis-ის ვებგვერდზე [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu).<sup>17</sup>

### ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ დადგენილი ეროვნული მონეტარული ზღვრები

თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს საკუთარი მონეტარული ზღვრები, რომელიც უფრო დაბალი უნდა იყოს, ვიდრე ევროკავშირის (EU) მიერ დადგენილი ოდენობები. ეროვნული მონეტარული ზღვრები რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობებით. ევროკავშირი არ ითვალისწინებს ისეთი შესყიდვების ტრანსსასაზღვრო გამოცხადების ვალდებულებას, რომლებიც ევროკავშირის მიერ დადგენილ ზღვრებს ქვემოთაა. ამიტომ, ასეთი განცხადებების მოძიება უნდა მოხდეს ცალკე, თითოეული წევრი ქვეყნის ეროვნულ პორტალებში (იხილეთ დანართი).

### გამონაკლისები

ზოგიერთი ხელშეკრულება, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ ხვდება ევროკავშირის საჯარო ღირებულების მოქმედების სფეროში. ზოგიერთი დარგის, ან კატეგორიის შესყიდვა არ ექვემდებარება კონკურენციას და შემსყიდველ საჯარო დაწესებულებას შეუძლია არ ჩაატაროს საჯარო შესყიდვის პროცედურა.

გამონაკლისის მაგალითებია:

- მიწის ან არსებული შენობების შეძენის ხელშეკრულებები: ღირებულებები გამორიცხავს

ხელშეკრულებებს მიწის, შენობების და სხვა უძრავი ქონების შეძენის ან ქირავნობის შესახებ. ასეთი კონტრაქტები ხვდება გამონაკლისებში, რადგან ისინი ყველაზე ხშირად გეოგრაფიულ მდებარეობაზე დამოკიდებული.


- ექსკლუზიური უფლებების საფუძველზე გაწეული მომსახურების შესახებ კონტრაქტები;
- სამაუწყებლო მასალა და დრო;
- საარბიტრაჟო მომსახურება და სამომრიგებლო მომსახურება
- იურიდიული მომსახურება;
- გარკვეული ფინანსური მომსახურება;
- სესხები;

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვების განსაკუთრებული და სენსიტიური ხასიათიდან გამომდინარე, ამ სფეროსთვის დადგენილია სპეციალური რეჟიმი. ლოგიკურია, რომ ბაზარზე გავრცელებული საერთო მოხმარების საქონლის, სამხედრო ტექნიკის, ან უსაფრთხოების აღჭურვილობის შესყიდვა არ შეიძლება ერთი და იგივე გზით. ამიტომ, თავდაცვის საქონლისა და სერვისების მიწოდება შეიძლება შეიზღუდოს წევრ ქვეყნებს შორისაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ცდილობს, ეს ბაზარი უფრო ხელმისაწვდომი გახადოს ადგილობრივი (ევროკავშირში რეგისტრირებული) ბიზნესისთვის.<sup>18</sup>

**დროებითი შეზღუდვები**

საჯარო შესყიდვებზე დროებითი შეზღუდვები (იგივე სანქციები) ხორციელდება სახელმწიფოების, საწარმოების, ან კერძო პირების მიმართ, რომელთა ქმედებები საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ან ძირს უთხრის დემოკრატიულ პრინციპებს. სანქციები ვრცელდება საჯარო შესყიდვების მიმდინარე და სამომავლო პროცედურებზე, ასევე დადებულ საჯარო კონტრაქტებზე. ისინი ვრცელდება ევროკავშირის საჯარო შესყიდვების შესახებ დირექტივებით გათვალისწინებული საჯარო შესყიდვების ხელშეკრულებების უმრავლესობაზე.

როგორც ქვემოთ რუკაზეა გამოსახული (სურათი N1), საქართველო მოქცეულია იმ ქვეყნებს შორის, სადაც მრავალი სუბიექტი ევროკავშირის სანქციების ქვეშაა. იმის გამო, რომ ზოგიერთი ეს ეკონომიკა საქართველოს ტრადიციული სავაჭრო პარტნიორია, ადგილობრივმა ბიზნესმა სუბიექტებმა ყურადღებით უნდა შეარჩიონ კლიენტები ან მომწოდებლები, რათა შესაბამისობაში იყვნენ ევროკავშირის მოთხოვნებთან.



სურათი 1 წყარო: EU Sanctions Map

ევროკომისია თავის ვებგვერდზე - [www.europa.eu](http://www.europa.eu) - შემზღვეული ზომების განახლებულ ჩამონათვალს მათი გამოცემისთანავე ავრცელებს. ევროკომისიას ასევე აქვს მომხმარებელზე მორგებული ინსტრუმენტი - [www.sanctionsmap.eu](http://www.sanctionsmap.eu) - სანქციების მოსაძებნად, მათი ტიპისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

**სატენდერო პროცედურები**

ხელშეკრულების დადების სტანდარტულ გზას წარმოადგენს შესყიდვა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საჯარო შესყიდვების სხვადასხვა

პროცედურას. ეს პროცედურები ასახულია საჯარო შესყიდვების შესახებ **2014/24/EU დირექტივაში**.<sup>11</sup>

**ღია პროცედურა**

ღია პროცედურა ერთეულებიანი პროცედურა და ყველაზე ხშირად გამოიყენება ევროკავშირის საჯარო შესყიდვებში. შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს საჯარო შესყიდვას და შემდეგ აქვეყნებს სრულ სატენდერო დოკუმენტაციას, მათ შორის, სპეციფიკაციებსა და ხელშეკრულებებს, ყველა ეკონომიკური ოპერატორისთვის, რომელთაც

შესყიდვამი მონაწილეობის მიღება სურთ. შესყიდვის ყველა დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ელექტრონული საშუალებებით, უფასოდ, ხელშეკრულების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების დღეს.

შესყიდვის ყველა დოკუმენტი უნდა იყოს სრული და ყოვლისმომცველი, რათა ეკონომიკურ ოპერატორებს ადარ დასჭირდეთ დოკუმენტაციის მოთხოვნა. მათ, უბრალოდ, უნდა ჩამოტვირთონ ყველა შესაბამისი დოკუმენტი. ეკონომიკური ოპერატორები ერთდროულად წარადგინენ როგორც შერჩევის (კვალიფიკაციის) შესახებ ინფორმაციას, ასევე სატენდერო დოკუმენტაციას, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული მოთხოვნების შესაბამისად.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიძლება მიიღოს სატენდერო წინადადებების დიდი რაოდენობა. მას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ამ წინადადებების რაოდენობა და, აქედან გამომდინარე, განიხილება მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ეკონომიკური ოპერატორების წინადადებები, რომლებმაც წარმოადგინეს საჭირო დოკუმენტები და აკმაყოფილებენ შერჩევის კრიტერიუმებს.

წინადადებები ფასდება ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი წინადადების გამოვლენის მიზნით. მოლაპარაკებების გამართვა ეკონომიკურ ოპერატორებთან დაუშვებელია, თუმცა შემსყიდველ ორგანიზაციებს აქვთ უფლება, ტენდერში მონაწილეებთან წინადადებების სხვადასხვა ასპექტი დააზუსტონ.

### შეზღუდული პროცედურა

შეზღუდული პროცედურა ორეტაპიანი პროცედურაა. შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს საჯარო შესყიდვას, რომლის საპასუხოდაც ეკონომიკური ოპერატორები ჯერ წარადგინენ განაცხადებს მონაწილეობის მისაღებად, შემდეგ კი - ინფორმაციას წინასაკვალიფიკაციო ეტაპის გადასალახად. ამ ინფორმაციის მეშვეობით, შემსყიდველი ორგანიზაცია ადგენს, არის თუ არა ეკონომიკური ოპერატორი სათანადოდ კვალიფიცირებული.

ამის შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაცია იწვევს შერჩეულ კანდიდატებს წინადადებების წარსადგენად. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეამციროს კანდიდატთა რაოდენობა და შექმნას ეკონომიკური ოპერატორების მოკლე სია. ეს ნიშნავს, რომ ყველა კვალიფიცირებული ეკონომიკური ოპერატორი არ იქნება მოწვეული ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. შემსყიდველი ორგანიზაცია გადარჩეულ ეკონომიკურ ოპერატორებს უგზავნის სრულ მოწვევას წინადადებების წარსადგენად, შესაბამის სფეროში მონაწილეობის მიზნით.

ღია პროცედურებისგან განსხვავებით, შეზღუდული პროცედურა საშუალებას აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას შეზღუდოს მის მიერ მიღებული

წინადადებების რაოდენობა. წინადადებები ფასდება ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანის გამოვლენის მიზნით.

მოლაპარაკებების გამართვა ეკონომიკურ ოპერატორებთან დაუშვებელია, თუმცა, შემსყიდველ ორგანიზაციებს აქვთ უფლება, დააზუსტონ წინადადებების სხვადასხვა ასპექტი ტენდერში მონაწილეებთან.

### კონკურენტული დიალოგი

კონკურენტული დიალოგი ორეტაპიანი პროცედურაა. შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს საჯარო შესყიდვას. ტენდერში მონაწილეობის შესახებ განაცხადების წარდგენის შემდეგ, ეკონომიკური ოპერატორები ჯერ წარადგინენ ინფორმაციას წინასაკვალიფიკაციო და შესარჩევი ეტაპისთვის და, წარდგენილი განაცხადების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია ადგენს, არიან თუ არა ეკონომიკური ოპერატორები სათანადოდ კვალიფიცირებულნი. შემდეგ კი შერჩეულ კანდიდატებს იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეამციროს კანდიდატთა რაოდენობა და შექმნას ეკონომიკური ოპერატორების მოკლე სია. შემსყიდველი ორგანიზაცია მოკლე სიისთვის შერჩეულ ეკონომიკურ ოპერატორებს უგზავნის მოწვევას, მიიღონ მონაწილეობა ტენდერში და შემდეგ იწყებს მათთან დიალოგს. დიალოგის განმავლობაში შესაძლებელია კონკრეტულ საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა ასპექტის (საკითხის) განხილვა, რომლის დროსაც, შესაძლოა, სატენდერო საკითხის გადაწყვეტის გზებიც შეიცვალოს.

მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია დარწმუნდება, რომ მიიღებს მისი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელ წინადადებებს, იგი დიალოგს დასრულებულად გამოაცხადებს და აღნიშნულ შერჩეულ ეკონომიკურ ოპერატორებს ამის შესახებ აცნობებს. წინადადებები ფასდება მხოლოდ საუკეთესო ფასისა და ხარისხის თანაფარდობის საფუძველზე.

შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, აწარმოოს მოლაპარაკება პრეტენდენტთან, რომელიც წარადგენს წინადადებას საუკეთესო ფასისა და ხარისხის თანაფარდობით.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიძლება გამოიყენოს ეს პროცედურა იმ შემთხვევებში, როდესაც მას, შესყიდვის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მართებული მეთოდის შერჩევა სჭირდება.

### წინასწარი გამოქვეყნებით მოლაპარაკების პროცედურა

წინასწარი გამოქვეყნებით მოლაპარაკების პროცედურის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილეობის მოთხოვნა ნებისმიერს შეუძლია, თუმცა, შემსყიდველი

ორგანიზაცია მხოლოდ წინასწარ შერჩეულ ეკონომიკურ ოპერატორებს უზავნის მოწვევას, წარადგინონ წინადადებები და იწყებს მათთან მოლაპარაკებას.

შემსყიდველებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს პროცედურა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოლაპარაკებები აუცილებელია შესყიდვის სპეციფიკური, ან რთული ხასიათის გამო. მიუხედავად ამისა, თავდაცვის და უსაფრთხოების, წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორებში, შემსყიდველებმა შეიძლება ეს პროცესი გამოიყენონ, როგორც შესყიდვის სტანდარტული პროცედურა. სხვა დარგებში, ევროკავშირის საჯარო შესყიდვების პრაქტიკაში, ამ პროცედურის გამოყენება საკმაოდ იშვიათია.

### წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურა

კონკრეტულ შემთხვევებში და გარემოებებში, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაუშვან საჯარო შესყიდვები ტენდერის წინასწარი გამოქვეყნების გარეშე.

ზოგიერთი ასეთი შემთხვევაა, როდესაც:

- კონკურსის ჩატარება შეუძლებელია ტექნიკური მიზეზების გამო;
- საჭიროა ექსპლუატაციური უფლებების დაცვა, მათ შორის - ინტელექტუალური საკუთრების უფლებების;
- საჭიროება გამოწვეულია კონტრაქტორის მიერ გაუთვალისწინებელი უკიდურესი და გადაუდებელი გარემოებით;
- ღია ან შეზღუდული პროცედურების, ან საკონკურსო პროცედურების ვადების დაცვა შეუძლებელია.

### ინოვაციური პარტნიორობა

ინოვაციური პარტნიორობა არის შედარებით ახალი პროცედურა, რომელიც 2014 წლის შესყიდვების სფეროში გატარებული რეფორმით დაინერგა. ეს არის ორეტაპიანი პროცედურა და, ნაწილობრივ, ეფუძნება იმ წესებს, რომლებიც ვრცელდება წინასწარი გამოქვეყნებით მოლაპარაკებაზე.

წარდგენილი განაცხადების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია ადგენს, არიან თუ არა ეკონომიკური ოპერატორები სათანადოდ კვალიფიცირებულნი იმისათვის, რომ ინოვაციური პარტნიორობის პროცედურაში მონაწილეობა მიიღონ. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეამციროს კანდიდატთა რაოდენობა, შექმნას ეკონომიკური ოპერატორების მოკლე სია და, ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, მოიწვიოს მინიმუმ სამი ეკონომიკური ოპერატორი.

ინოვაციური პარტნიორობის პროცედურის მოლაპარაკების ფაზის წარმართვის წესები მოქნილია და, შესაბამისად, შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ტენდერის შემთხვევაში. ძირითადი პრინციპია, რომ ინოვაციური პარტნიორობა უნდა დაიგეგმოს თანმიმდევრული ფაზებით, რომლებიც მისდევს კვლევისა და ინოვაციების პროცესებს და, შეიძლება, მოიცავდეს საქონლის წარმოებას, სამუშაოს შესრულებას, ან მომსახურების გაწევას.

ინოვაციური პარტნიორობის დროს, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დააზუსტოს სხვადასხვა ასპექტი ტენდერში მონაწილეებთან; მას, ასევე, შეუძლია, შეამციროს შემოთავაზებული გადაწყვეტის გზების რაოდენობა პროცესის განმავლობაში. ხელშეკრულების დადება ამ პროცედურის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ წინადადების საუკეთესო ფასისა და ხარისხის თანაფარდობის საფუძველზე.

### კონკურსი

ეს არის პროცედურა, სადაც კონკურსს ატარებს სპეციალური ჟიური, რომელიც აფასებს წარდგენილ არქიტექტურულ პროექტს/დიზაინს. პროცედურის შედეგი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დადება, ჯილდოს გადაცემა, ან ორივე ერთად. არ არსებობს დეტალური მოთხოვნები გამოსაყენებელი ეტაპების რაოდენობასთან, ან პროცესთან დაკავშირებით. თუმცა, არსებობს წესები ჟიურის წევრების დაკომპლექტებისა და ჟიურის ფუნქციონირების შესახებ.

ეს პროცედურა გამოიყენება მხოლოდ საჯარო სივრცეების საპროექტო მომსახურების განხორციელების მიზნით. ძირითადად, იგი გამოიყენება ქალაქისა და დასახლების დაგეგმარების, არქიტექტურულ და საინჟინრო, ან მონაცემების დამუშავების სფეროებში და სახელმწიფო მხარდაჭერის ფინანსური სქემების შესაშუშავებლად. კონკურსმა, რომელიც გამოიყენება ფინანსური სქემის დიზაინის გამოსავლენად, შეიძლება განსაზღვროს, რომ განხორციელების შემდგომი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებები დაიდება კონკურსში გამარჯვებულთან, ან მის ერთ-ერთ გამარჯვებულთან, წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურის გამოყენებით.

### დამატებითი სატენდერო ტექნიკები

#### ჩარჩო შეთანხმება

ჩარჩო შეთანხმება განმარტებულია ღირებულების 33-ე მუხლში, რომლის მიხედვით, ჩარჩო შეთანხმება არის ერთ, ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასა და ერთ, ან რამდენიმე ეკონომიკურ ოპერატორს შორის გაფორმებული შეთანხმება. მისი მიზანია, ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში გასაფორმებელი

შესყიდვის ხელშეკრულებების პირობების დადგენა. კერძოდ - მოსალოდნელ ფასთან და, სადაც საჭიროა, რაოდენობასთან დაკავშირებით.

შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც ადგენს ჩარჩო შეთანხმებას, აცხადებს შესყიდვას და იწვევს ეკონომიკურ ოპერატორებს მიიღონ მონაწილეობა ჩარჩო შეთანხმებაში. შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს შესყიდვის ერთ-ერთ, დირექტივით განსაზღვრულ სტანდარტულ პროცედურას წინადადებების შერჩევისა და შეფასებისთვის. ინფორმაციისა და წინადადებების მიღებისა და შეფასების შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაცია აფორმებს ჩარჩო შეთანხმებას ერთ, ან მეტ ეკონომიკურ ოპერატორთან. ჩარჩო შეთანხმება განსაზღვრავს ხელშეკრულებების დადების წესებს მასში მონაწილე ეკონომიკურ ოპერატორებთან და ამ ხელშეკრულებების პირობებს.

ჩარჩო შეთანხმების მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ქვეყნდება ერთიანი სატენდერო შეტყობინება ხელშეკრულებაზე და ტარდება ევროკავშირის შესყიდვის ერთი პროცესი, რომელიც მოიცავს როგორც ჩარჩო შეთანხმების შემუშავებას, ასევე, ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულებების შემდგომ დადებას ეკონომიკურ ოპერატორებთან.

ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში, ხელშეკრულებები შეიძლება დაიდოს შეთანხმების წევრებთან პირდაპირ, კონკურენტული პროცესის გამართვის გარეშე, ან ჩარჩო შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ ოპერატორებს შორის ე.წ. მინი-ტენდერის გამართვით. თუ ჩარჩო ხელშეკრულება არის ერთი მიმწოდებლის ხელშეკრულება, დირექტივა ითვალისწინებს, რომ კონტრაქტები გაიცემა ჩარჩო ხელშეკრულებით დადგენილი პირობების ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულები ორგანო ხელშეკრულებას ანიჭებს უშუალოდ ეკონომიკურ ოპერატორს, დამატებითი კონკურენციის გარეშე.

თუ ხელშეკრულება დადებულია ერთზე მეტ ეკონომიკურ ოპერატორთან, შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გზებს შორის აქვს არჩევანი:

- კონტრაქტის პირდაპირი მინიჭება კონკრეტული ეკონომიკური ოპერატორისთვის, ჩარჩო ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული პირობებისა და ობიექტური პირობების გამოყენებით, ხელახალი კონკურსის გარეშე;
- ჩარჩო შეთანხმების მხარე ეკონომიკურ ოპერატორებს შორის ტენდერის ხელახალი ჩატარება, მონაწილეობის მისაღებად ჩარჩოში მყოფი ყველა ეკონომიკური ოპერატორის მოწვევით, რომლებსაც შეუძლიათ ხელშეკრულების შესრულება (მინი-კონკურსი);
- კონტრაქტის ნაწილობრივ გაფორმება ხელახალი

ტენდერის გარეშე (როგორც პირველ ვარიანტში), და ნაწილობრივ ხელახალი კონკურსი ეკონომიკურ ოპერატორებს შორის, რომლებიც არიან ჩარჩო ხელშეკრულების მხარეები (როგორც მეორე ვარიანტი).

მრავალმიწოდებლიანი ჩარჩო შეთანხმების გამოცხადებისას და ხელშეკრულების გაფორმებისას, შემსყიდველი ორგანოები მკაფიოდ უნდა იყვნენ ჩამოყალიბებულნი კონტრაქტის ფორმებზე და ჩარჩო შეთანხმება უნდა შეიცავდეს ყველა ამ დებულებას.

პირველი ვარიანტი პრაქტიკაში შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე გზით. მაგალითად, რანჟირება შეიძლება გამოიყენონ ისე, რომ კონტრაქტი ყოველთვის, პირველ რიგში, შესთავაზონ პირველ ადგილზე მყოფ ეკონომიკურ ოპერატორს; ან კონტრაქტების მინიჭება შეიძლება როტაციული იყოს ეკონომიკურ ოპერატორებს შორის.

მეორე ვარიანტი, მინი-კონკურსი, იქნება შესაფერისი იქ, სადაც ყველა პირობა არ იყო გათვალისწინებული ჩარჩო ხელშეკრულებაში. მინი-კონკურსის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს იმავე პირობებს, რაც გამოიყენება ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ ჩარჩო ხელშეკრულებაში არსებული ყველა ეკონომიკური ოპერატორი, რომელსაც შეუძლია ხელშეკრულების შესრულება, მოწვეული იყოს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად თანაბარი მოპყრობის, არადისკრიმინაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

### დინამიკური შესყიდვის სისტემა

დინამიკური შესყიდვის სისტემა ისეთი ობიექტების შესყიდვისთვის გამოიყენება, რომელთა მახასიათებლები მისაღებად შემსყიდველისთვის ისეთი ფორმით, როგორც ისინი ფართოდ არიან წარმოდგენილნი ბაზარზე. დინამიკური შესყიდვის სისტემა ხორციელდება მხოლოდ ელექტრონულად. ეს პროცედურა, მისი მოქმედების მთლიან ვადაში, დიან ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორისთვის, რომელიც აკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს. იგი შეიძლება დაიყოს პროდუქტის, სამუშაოსა და სერვისის კატეგორიების მიხედვით, რომლებიც შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე განისაზღვრება. ასეთი პირობები შეიძლება მოიცავდეს მითითებას ხელშეკრულების მაქსიმალურ მოცულებაზე, ან კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე, სადაც უნდა შესრულდეს ხელშეკრულება.

### ელექტრონული აუქციონი

ელექტრონული აუქციონის დროს მიმწოდებლებს შეუძლიათ დააფიქსირონ ფასები კლებადი ბიჯებით (ე.წ. რევერსული აუქციონი) და შევიდნენ კონკურენციაში ერთმანეთთან. ამ პროცედურის დროს,

ასევე, შესაძლებელია ტენდერის ახალი ელემენტების წარდგენაც. აუქციონის ჩატარება მართებულია სატენდერო წინადადებების სრულად შეფასების შემდგომ, ავტომატური შეფასების მეთოდის გამოყენებით, როდესაც შეთავაზებული ხარისხი ერთგვაროვანია და გადამწყვეტი კრიტერიუმი მხოლოდ ფასია. ელექტრონული აუქციონის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა შესყიდვის პროცედურასთან კომბინაციაში, მაგრამ ვერ მოხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხორციელდება ინტელექტუალური ნაშრომების შესყიდვა (როგორცაა, მაგალითად, დიზაინი), და რომლებიც ავტომატური მეთოდით ვერ შეფასდება.

საჯარო  
შესყიდვების  
შესაძლებლობები  
ევროკავშირში

თავი  
02

## სად მოვიძიოთ ინფორმაცია საჯარო შესყიდვებზე?

სატენდერო წინადადებები იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება ევროკავშირში დადგენილ მონეტარულ ზღვრებს აღემატება (იხ. ქვეთავი მონეტარული ზღვრების შესახებ), განთავსებულია ონლაინ საინფორმაციო პორტალზე TED (იხილეთ ქვეთავი: „ონლაინ პორტალი Tenders Electronic Daily (TED)).

ზღვარზე ქვემოთ მყოფი წინადადებები ცხადდება საჯარო შესყიდვების შესახებ ეროვნული რეგულაციების შესაბამისად (იხილეთ ქვეთავები: „საჯარო შესყიდვების ეროვნული პორტალები“ და „ევროპის დიდი ქალაქების მუნიციპალიტეტების საჯარო შესყიდვების პორტალები“).

### ონლაინპორტალი Tenders Electronic Daily (TED)

ევროკავშირში საჯარო უწყებები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ სატენდერო წინადადებები ონლაინ პორტალზე - Tenders Electronic Daily (TED), როდესაც მათი ღირებულება დადგენილ ზღვარს (იხ. ქვეთავი მონეტარული ზღვრების შესახებ) აღემატება. ზოგიერთმა საჯარო უწყებამ, შესაძლოა, გამოიყენოს TED-ი დაბალი ღირებულების მქონე ხელშეკრულებებისთვისაც, პოტენციურ მომწოდებლებს შორის კონკურენციის გასაზრდელად. თუმცა, ეს სავალდებულო არ არის.


TED-ი არის ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალის დანართის (რომელიც შეეხება ევროპულ საჯარო შესყიდვებს) ონლაინვერსია.

TED-ი ყოველწლიურად აქვეყნებს 735 ათას შეტყობინებას შესყიდვის შესახებ, მათ შორის, 258 ათას ტენდერს, რომელთა ღირებულება დაახლოებით 670 მილიარდი ევროა. პორტალი უზრუნველყოფს უფასო წვდომას ბიზნეს შესაძლებლობებზე ევროკავშირში, ევროპის ეკონომიკურ ზონასა და მის ფარგლებს გარეთ.

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ყოველდღიურად, ქვეყნდება 2600-მდე საჯარო შესყიდვის შესახებ შეტყობინება. შესყიდვის შესახებ შეტყობინებების მოძიება და დახარისხება შესაძლებელია ქვეყნის, რეგიონის, ბიზნეს სექტორის და სხვა კატეგორიების მიხედვით. ყველა შესყიდვის დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია (სატენდერო განცხადება) გამოქვეყნებულია ევროკავშირის 24 ოფიციალურ ენაზე; ევროკავშირის ინსტიტუტები ასევე აქვეყნებენ სატენდერო პაკეტის სრულ შინაარსს (არა მარტო განცხადებას) ყველა ამ ენაზე.

## როგორ გამოვიყენოთ TED-ი?


### TED-ზე ანგარიშის შექმნა



1


TED-ზე ანგარიშის შესაქმნელად, გთხოვთ, ეწვიოთ TED-ის ვებგვერდს <https://ted.europa.eu>.






2

აირჩიეთ “MyTED”: ვებგვერდზე მოძებნეთ ოფცია, რომელიც მიუთითებს “MyTED”-ს ან “რეგისტრაცია”-ს და დააწკაპუნეთ მასზე. სწორედ, აქ შეძლებთ რეგისტრაციის პროცესის დაწყებას.



3

მიუთითეთ თქვენი მონაცემები: სარეგისტრაციო ფორმაში მიუთითეთ თქვენი პირადი, ან ორგანიზაციის დეტალები.



4

ელ. ფოსტა დადასტურებისთვის: სარეგისტრაციო მონაცემების გაგზავნის შემდეგ მიიღებთ ელ. ფოსტას დასადასტურებლად. მიჰყევით ინსტრუქციებს თქვენი რეგისტრაციის დასასრულებლად. იგი შეიძლება შეიცავდეს ბმულს თქვენი ელ.ფოსტის მისამართის დასადასტურებლად.



5


სისტემაში შესვლა: რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, შეგიძლიათ შეხვიდეთ თქვენს MyTED ანგარიშზე რეგისტრაციის დროს შექმნილი მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით.

**TED-ის დათვალიერება**



1


TED-ის ვებგვერდზე შესვლა: გადადით TED-ის ვებგვერდზე (<https://ted.europa.eu/>). ვებგვერდზე ძიება შეგიძლიათ ბიზნესშესაძლებლობების, ბიზნესსექტორის (CPV), შესრულების ადგილის (NUTS) მიხედვით, შესრულების ადგილის მიხედვით რუკაზე.



2

გაფართოებული ძიება: უფრო დახვეწილი შედეგების მისაღებად, დააწკაპუნეთ ოფიციალურ „გაფართოებული ძიება“. აქ შეგიძლიათ დააკონკრეტოთ ძიების სხვადასხვა კრიტერიუმი, მათ შორის, ხელშეკრულებების ტიპი, ქვეყანა, გამოქვეყნების თარიღი და სხვა.

**TED-ზე ავტომატური ელ. ფოსტის შეტყობინების დაყენება**



1

როგორც კი ძიების სწორ შედეგს მიიღებთ, გექნებათ მისი შენახვის შესაძლებლობა.

2

შენახვის შემდეგ, თქვენ შეძლებთ, დააყენოთ შეტყობინების ავტომატურად მიღების შესაძლებლობა ელ. ფოსტის მეშვეობით.

Document number	Description	Publication date	Deadline	Reminder	Alert	Action
632997-2023	Poland-Milicz: Forestry services	19/10/2023				

### სატენდერო განცხადების დათვალიერება

სატენდერო განცხადების სანახავად დააწკაპუნეთ ბმულზე დოკუმენტის ნომრის ქვეშ. თქვენ ჯერ შეხვალთ სატენდერო განცხადების გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე და, ასევე, სატენდერო დოკუმენტაციის ბმულზე, რომელიც შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ შემსყიდველის სახელმწიფო ენაზე.

სატენდერო დოკუმენტაციის გარჩევის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია ქვეთავში „სასარგებლო რჩევები ევროკავშირის საჯარო შესყიდვებში მონაწილეობის მისაღებად“.

Document number	Description	Publication date	Deadline	Remi
632997-2023	Poland-Milicz: Forestry services	19/10/2023		

### ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საჯარო შესყიდვების ეროვნული პორტალები


საჯარო შესყიდვების ეროვნული პორტალებზე ცხადდება შესყიდვები ეროვნული მონეტარული ზღვრების მიხედვით, რაც, ხშირ შემთხვევაში, ევროკავშირის მიერ დაწესებულ სავალდებულო ზღვრებზე დაბალი ღირებულების კონტრაქტებია. ასეთი შეტყობინებები, როგორც წესი, არ ჩნდება TED-ის პორტალზე, რადგან მათი გამოქვეყნება საერთაშორისო მასშტაბით სავალდებულო არ არის.

ამ სახელმძღვანელოს დართული აქვს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საჯარო შესყიდვების ეროვნული პორტალების ცნობარი (იხილეთ დანართი), რომელიც შეიცავს მსგავსი ვებგვერდების მისამართებს, ასევე, განმარტავს პორტალებზე რეგისტრაციის უპირატესობებს განაცხადებებზე მორგებული ძიებისთვის, ან ავტომატური შეტყობინებების მისაღებად.

### ევროპის დიდი ქალაქების დაწესებულებათა საჯარო შესყიდვების პორტალები

საჯარო შესყიდვების ეროვნული პორტალების მსგავსად, ევროპის ქალაქების მუნიციპალიტეტები და სხვა ადმინისტრაციული საჯარო დაწესებულებები თავიანთ ვებგვერდებზე აცხადებენ ისეთ ტენდერებს, რომელთა TED-ზე (ან, თუნდაც, შესყიდვების ეროვნულ პორტალებზე) გამოცხადებაც სავალდებულო არ არის. ეს განცხადებები, შეიძლება, არ ქვეყნდებოდეს სისტემატურად, მაგრამ განცხადებების პერიოდული შემოწმება, შეიძლება, სასარგებლო იყოს იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც ეძებენ დაბალი ღირებულების კონტრაქტებს, მათი ინტერესის კონკრეტულ სფეროში, ან სპეციფიკური პროდუქტების მიწოდების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული გზამკვლევი არ მოიცავს ზემოხსენებული ვებგვერდების ამომწურავ ჩამონათვალს (მათი სიმრავლის გამო), მასში მოცემული მითითებები და რეკომენდაციები, სარგებლიანი იქნება იმ ეკონომიკური ოპერატორებისთვის, ვინც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ადგილობრივ შესყიდვებში მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტს.



სასარგებლო რჩევები  
ევროკავშირის  
საჯარო შესყიდვებში  
მონაწილეობის  
მისაღებად

თავი  
03

## ადგილობრივი შესყიდვების პროცესის გააზრება - ყოველთვის გაითვალისწინეთ ფორმალური მხარე

საჯარო შესყიდვის პროცედურა ძალიან ფორმალური ხასიათისაა და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ფორმალური პროცედურა სრულად უნდა დავიცვათ. მისმა შეუსრულებლობამ, ძალიან ხშირად, შეიძლება კონკურსიდან გამორიცხვა გამოიწვიოს.

დამატებითი გამოწვევაა საზღვარგარეთ საჯარო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობა. ასეთ

შემთხვევებში, აუცილებელია, უცხო ენაზე მოცემული სატენდერო დოკუმენტაციის სრულად გააზრება და მასთან შესაბამისობის დაცვა; ადგილობრივი იურიდიული მრჩევლის მომსახურება, შეიძლება, ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ტენდერის მონაწილე კომპანია საქირო ექსპერტიზას თავად არ ფლობს.

## ენები

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სატენდერო დოკუმენტაცია (არ იგულისხმება სატენდერო განცხადება), როგორც წესი, შესრულებულია გამომცხადებელი წევრი სახელმწიფოს ეროვნულ ენაზე. არ არსებობს ამ დოკუმენტების ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების ვალდებულება. როდესაც წევრი ქვეყნების ხელისუფლება აქვეყნებს შესყიდვებს TED-ზე, მხოლოდ განცხადების ტექსტია მოცემული ევროკავშირის ყველა ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ TED-ზე ინტეგრირებულია ავტომატური თარგმანის ფუნქცია, ამ მეთოდზე დაყრდნობა მაინც სარისკო გადაწყვეტილებაა და პრეტენდენტები, ამ კუთხით, ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ.

ცხადია, ეროვნულ პორტალებზე წარმოდგენილია შესყიდვები, რომლებიც ევროკავშირის მიერ დადგენილი მონეტარული ზღვრების ქვემოთაა. ასეთი შესყიდვები ცხადდება ადგილობრივ

სახელმწიფო ენაზე, რადგან, როგორც ზემოთ ვახსენეთ, არ არსებობს ტენდერის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის თარგმნის ვალდებულება.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად, შემსყიდველი მოითხოვს თავად სატენდერო წინადადებების წარდგენას შემსყიდველი ორგანიზაციის ქვეყნის სახელმწიფო ენაზე და, ხშირად, შემსყიდველ ორგანიზაციებსა და პრეტენდენტებს შორის კომუნიკაცია ტენდერის ფაზაში ადგილობრივ ენაზე უნდა განხორციელდეს. ეს მოთხოვნა, როგორც წესი, მითითებულია შესაბამის სატენდერო დოკუმენტებში. მათი მოძიება კი პრეტენდენტებს ადვილად შეუძლიათ. ასეთ შემთხვევებში, სასარგებლოა თარგმანის ჩართვა სატენდერო პროცესის დაწყებისთანავე.

## ევროკავშირის წევრი ქვეყნების ადგილობრივი სამართლებრივი სისტემებისა და ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზის გააზრება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წევრმა ქვეყნებმა უნდა დაიცვან ადგილობრივი საჯარო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, მაშინაც კი, როდესაც შესყიდვები ევროკავშირის

მიერ დადგენილი მონეტარული ზღვრების ქვემოთაა. ევროკავშირში გაწევრიანებამდე, ყოველი სახელმწიფო ვალდებული იყო მოეხდინა ადგილობრივი საჯარო შესყიდვების კანონის

ჰარმონიზაცია ევროკავშირის დირექტივებთან. ამ პროცესის შედეგად, სახეზეა მრავალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც სრულყოფილად არ შეესაბამება პირველად (ორიგინალ) ვერსიებს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი საჯარო შესყიდვების ყველა კანონი ეფუძნება ერთსა და იმავე დირექტივებს, ისინი მაინც განსხვავდება შინაარსით. პრეტენდენტები არ უნდა დაეყრდნონ მხოლოდ

ევროკავშირის დირექტივებს, არამედ, უნდა შეამოწმონ შესაბამისი ადგილობრივი რეგულაციები, რათა დარწმუნდნენ, რომ არ არსებობს მათ შორის შეუსაბამობები. ასეთ შემთხვევებში, მიზანშეწონილია, დაუკავშირდეთ ტენდერის გამომცხადებელი ქვეყნის ადგილობრივ საჯარო შესყიდვების ექსპერტებს, ან იურიდიული მომსახურების კომპანიებს.

## საჯარო შესყიდვების ეროვნული პორტალების გამოყენების უპირატესობები - როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი მათგან

სატენდერო განცხადებების გამოქვეყნების გარდა, საჯარო შესყიდვების ეროვნული პორტალები, როგორც წესი, გვაწვდიან სასარგებლო ინფორმაციას საჯარო შესყიდვების ადგილობრივი წესების შესახებ. იმის გამო, რომ ამ პორტალებს მართავენ საჯარო შესყიდვების ეროვნული სააგენტოები, ისინი, როგორც წესი, თან ურთავენ შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ბმულებსა და ადგილობრივი საჯარო შესყიდვების სისტემის შესახებ განმარტებით სახელმძღვანელოებს. ეს ვებგვერდები, როგორც

წესი, ასევე შეიცავს სასარგებლო ინფორმაციას შესყიდვების გეგმების (მოსალოდნელი ტენდერების) და ხელშეკრულებების დადების სტატისტიკისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პორტალების სია იხილეთ დანართში. ის შეიცავს თითოეული ქვეყნის ოფიციალური და სხვა, ფართოდ გავრცელებული პორტალების მისამართებს.

## ადგილობრივ ეკონომიკურ ოპერატორებთან პარტნიორობის გამოწვევები და შესაძლებლობები

სატენდერო მიზნებისთვის, ევროკავშირი ავალდებულებს შემსყიდველ საჯარო ორგანიზაციებს, არ დააწესოს აკრძალვები ეკონომიკურ ოპერატორებს შორის პარტნიორობასთან დაკავშირებით. როგორც წესი, ეკონომიკურ ოპერატორებს შორის პარტნიორობის წესები, თავად სატენდერო დოკუმენტაციაშია აღწერილი. თუმცა, მაშინაც კი, თუ დოკუმენტაციას არ ახლავს ასეთი წესები, იგულისხმება, რომ საჯარო შესყიდვებზე ერთობლივი განაცხადის შეტანა დასაშვებია. არსებობს კონკურსში მონაწილეთა პარტნიორობის ორი გზა:

- ქვე-კონტრაქტი
- ეკონომიკურ ოპერატორთა გაერთიანება

ვფიქრობთ, სასარგებლო და მიზანშეწონილია, შემსყიდველი საჯარო ორგანიზაციის ქვეყანაში მოიძიოთ ადგილობრივი გამოცდილი კომპანია

და დაამყაროთ მასთან პარტნიორობა, რათა უკეთ გაეცნოთ საჯარო შესყიდვების ბაზარს და, შესაბამისად, გაზარდოთ შესყიდვაში თქვენი წარმატების შანსი.

Enterprise Europe Network (EEN) არის ევროკომისიის ვებგვერდი ([www.een.ec.europa.eu](http://www.een.ec.europa.eu)), რომელიც შექმნილია მცირე და საშუალო საწარმოების დასახმარებლად, ისარგებლონ ბიზნესშესაძლებლობებით. ამ ვებგვერდს, ასევე, შეუძლია დაეხმაროს პრეტენდენტებს პოტენციური პარტნიორების მოძიებაში.

პარტნიორობის შემთხვევაში, ეკონომიკურმა ოპერატორებმა უნდა გაითვალისწინონ სამეწარმეო კავშირის რისკები, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პარტნიორობის ხელშეკრულებაში ისეთ საკითხებზე დეტალურ შეთანხმებას, როგორც არის მხარეთა უფლება-მოვალეობები, როგორც პრეტენდენტობის, ისე შესყიდვაში გამარჯვების შემთხვევაში.

## ხელშეკრულების შესრულება უცხო ქვეყანაში - ორმაგი შესაბამისობა

თითოეული წევრი სახელმწიფო საჯარო შესყიდვის პროცედურას შესყიდვების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, იგი უნდა შესრულდეს ეროვნული სამოქალაქო სამართლის შესაბამისად. ამდენად, პრეტენდენტებმა უნდა მოიძიონ ინფორმაცია არა მხოლოდ საჯარო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობაზე, არამედ, შესაბამის რეგულაციებზე, რომლებიც აწესრიგებს მყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

